ხელშეკრულება N--

ქ. ბათუმი --- ----------202- წელი

ერთი მხრივ, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“ (შემდგომში „კოლეჯი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან მგელაძის სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „პროფესიული სტუდენტის“ კანონიერი წარმომადგენელი) („კოლეჯი” და ”პროფესიული სტუდენტის” კანონიერი წარმომადგენელი შემდგომში ერთად მოიხსენიება როგორც ”მხარეები”), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ”ხელშეკრულება”) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია კოლეჯსა და ---------- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულაცია.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის წესდებით, კოლეჯის შინაგანაწესით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით, კოლეჯის უსაფრთხოების წესებით და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით (შემდგომში - ,,მარეგულირებელი ნორმები“).

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უსაფრთხოების წესები და შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას იცნობს მათ შინაარსს და ეთანხმება, ხოლო კოლეჯი იღებს ვალდებულებას, რომ მათი შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის ვებ-გვერდზე ან/და კოლეჯის შენობაში საჯარო ადგილას გამოქვეყნებით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. კოლეჯი ვალდებულია:

ა) გასწიოს საგანმანათლებლო მომსახურება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხარისხიანად და სრულყოფილად;

ბ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

გ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩამოყალიბება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და კვალიფიკაციის მისანიჭებლად კანონმდებლობით და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა პირობის შესრულების შემთხვევაში, მიანიჭოს კურსდამთავრებულს შესაბამისი კვალიფიკაცია და მისცეს მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი;

ე) შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მარეგულირებელი ნორმებით გათვალსწინებული სხვა ვალდებულებები.

2. კოლეჯი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესრულება;

ბ) მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების განუხრელი დაცვა. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასვას საკითხი პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის ღირსებისა და პრესტიჟის დაცვა;

დ) დაამუშაოს პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, საქართველოს კანონმდებლობით კოლეჯისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად.

3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმებით გათავალისწინებული მოთხოვნები;

ბ) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები პირადად და არ გადასცეს ისინი სხვა პირებს;

გ) შეასრულოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

დ) გაუფრთხილდეს და დაიცვას კოლეჯის ქონება, არ შეუქმნას საფრთხე სხვათა ჯანმრთელობას, არ დააბრკოლოს სხვათა უფლებების განხორციელება. ზიანის მიყენების შემთხვევაში სრულად აანაზღაუროს იგი;

ე) გაიაროს საგანმანათლებლო პროგრამა, დაესწროს მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო;

ვ) შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) კოლეჯისაგან მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი, ხარისხიანი და სრულყოფილი საგანმანათლებლო მომსახურება;

ბ) კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს პროფესიულ და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით.

5. პროფესიული სტუდენტი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური ინფორმაცია კოლეჯის მიერ დამუშავდეს ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და კოლეჯის სასწავლო პროცესის სხვა კანონიერი საჭიროებებიდან გამომდინარე.

მუხლი 3. სწავლის საფასური და გადახდის წესი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. პროფესიულ სტუდენტის სწავლის საფასური ანაზღაურდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მოდულების შესაბამისად.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების გამოცემისთანავე და მოქმედებეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულება და კვალიფიკაციის მინიჭება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სხვა საფუძვლები განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

3. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოლეჯის ვალდებულებების შესრულება (საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა) დროებით ჩერდება, რაც არ იწვევს მომსახურების გაწევის დასრულებას (ხელშეკრულების შეწყვეტას). სტატუსის შეჩერების შემთხვევაში კოლეჯის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა) განახლდება პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შესაბამისი წესით აღდგენისთანავე.

მუხლი 5. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე

1. კანონიერი წარმომადგენელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ნებაყოფლობით ანიჭებს უფლებას პროფესიულ კოლეჯს:

ა) მომსახურების გაწევის პერიოდში, პროფესიული კოლეჯის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით დაამუშავოს პროფესიული სტუდენტის პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, უცხო ენის ცოდნა, სქესი, განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტები (ჩარიცხვის ბრძანება, პროფესიული სტატუსის შეჩერება, აღდგენა), შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო;

ბ) დაამუშაოს ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული პერსონალური მონაცემები (პროფესიულ კოლეჯში მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი - პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანის დაცვის (მათ შორის, მავნე ზეგავლენისაგან დაცვის), გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის).

2. პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის გამოხმობის უფლება, რაც არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმებას და ასევე, თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

მუხლი 6. დავის გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სახის უთანხმოება რეგულირდება ურთიერთმოლაპარაკების გზით კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

2. მხარეებს შორის უთანხმოების მოლაპარაკების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს ბათუმის საქალაქო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.
2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები

შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 245624819

მის.: ქ. ბათუმი, შავშეთის ქუჩა N33

კოლეჯის დირექტორი

ამირან მგელაძე

(ხელმოწერა)

პროფესიული სტუდენტი

სახელი, გვარი

პირადი N----------

დაბადების მოწმობის N----------

მისამართი:----------

ტელ.:----------

ელ. ფოსტა:----------

ხელმოწერა----------

კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა

(არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში)

ხელმოწერა----------